ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6216827

ნომერი: AR1934930

თარიღი : 21.11.2022

გაცემის თარიღი : 21.11.2022

გაცნობის თარიღი : 25.11.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფ გლდანი , "ავშნიანი" , ნაკვეთი 06/542;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ბაბაჯანაშვილი პ/ნ 01027058252
- ქ. თბილისი, ჯავახეთის ქ.9ა კორპ. ბინა 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 17 ნოემბრის №6212438 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 21 ნოემბერს №AR1934930 განაცხადებით მომართა ქეთევან ბაბაჯანაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის

2022 წლის 17 ნოემბრის №6212438 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 17 ნოემბრის №6212438 ბრძანებით, №01.11.17.023.039 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (“B“ ბლოკი) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 17 ნოემბრიდან 2024 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს “მევა ჯე" (ს/ნ: 400019145).
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2022 წლის 17 ნოემბრის №6212438 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრის - შპს “მევა ჯე”-ს (ს/ნ: 400019145) ნაცვლად მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის შპს “ემ ფროფერთი“-ს (ს/ნ: 405570207) დაფიქსირება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882022862516, მომზადების თარიღი: 18/11/2022 წ.) თანახმად №01.11.17.023.039 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს შპს “ემ ფროფერთი“ (ს/ნ: 405570207). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22130965, მომზადების თარიღი: 18/10/2022 წ.) თანახმად, შპს “ემ ფროფერთი“-ს (ს/ნ: 405570207) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქეთევან ბაბაჯანაშვილი. შესაბამისად, დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №01.11.17.023.039 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს “ემ ფროფერთი“ (ს/ნ: 405570207), რომლის უფლებამოსილი პირიც მომართავს სამსახურს დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2022 წლის 17 ნოემბრის №6212438 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს “ემ ფროფერთი“-ს (ს/ნ: 405570207) დაფიქსირებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 17 ნოემბრის №6212438 ბრძანებაში და დამკვეთად შპს “მევა ჯე”-ს (ს/ნ: 400019145) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს “ემ ფროფერთი“ (ს/ნ: 405570207).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 17 ნოემბრის №6212438 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 17 ნოემბრის №6212438 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.